პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 11 ივნისი 1939 წ. № 132 (5532) ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკურად შევასრულოთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი („პრავდის“ მოწვინავე)

საქ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრება (1-ლი გვ.)

მოსკოვის პარტიული და პროფკავშირული აქტივის კრება (1-ლი გვ.)

კიევის ქალაქის პარტაქტივის კრება (1-ლი გვ.)

რეზოლუცია ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებისა (მე-2 გვ.)

რეზოლუცია მოსკოვის პარტიული აქტივის კრებისა (მე-2 გვ.)

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიულ პროპაგანდას (მე-3 გვ.).

უცხოეთში:

ქამათი ინგლისის თემთა პალატაში (მე-4 გვ.)

ესპანეთი იტალიის პლაცდარმია საფრანგეთის წინააღმდეგ (მე-4 გვ.)

მდგომარეობა ტიანძინში (მე-4 გვ.)

საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.).

ქართული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკურად შევასრულოთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

დამთავრდა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სტალინგრადისა და სხვა ორგანიზაციების პარტიული აქტივის კრებები, მიძღვნილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგებისადმი. ჩვენი ქვეყნის უდიდესი ცენტრების ბოლშევიკებმა გვიჩვენეს მაგალითი იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების სერიოზულად და ღრმად განხილვისა, რომლებიც ც. კ-ის პლენუმის დღის წესრიგში იდგა. პარტიული აქტივის კრებები ჩატარდა და ტარდება საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, კომუნიზმის შემდგომი წარმატებებისათვის საბრძოლველად კომუნისტების საბრძოლო მზადყოფნის ნიშნით. ერთსულოვნად იწონებს რა ც. კ-ის პლენუმის დადგენილებებს, იღებს რა მათ განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად, პარტიული აქტივი ცხადჰყოფს თავის საბრძოლო დარაზმულობას ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ჩატარდა და ამჟამად ტარდება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო და საოლქო კომიტეტების პლენუმები, რომლებზეც სახავენ საკოლმეურნეო მშენებლობის და მოსავლის აღებისათვის მზადების კონკრეტულ ღონისძიებებს. პარტიული ორგანიზაციები უშუალოდ შეუდგნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

ც. კ-ის მაისის პლენუმის შედეგების ფართოდ განხილვის პირველმავე დღეებმა დაგვანახვეს, თუ რამდენად დროული და სტალინურად ბრძნულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაივებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“. თითქმის ყველგან მჟღავნდება სერიოზული დამახინჯებანი პარტიის პოლიტიკისა საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგში. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უაღრესად უხეში დარღვევები ადგილობრივ ხელმძღვანელთა წაყრუებისა და ოპორტუნისტული პრაქტიკის გამო — ფრიად გავრცელებული მოვლენაა.

პარტიული აქტივის კრებებზე და საოლქო და სამხარეო კომიტეტების პლენუმებზე მოჰყავდათ მრავალრიცხოვანი ფაქტები საკარმიდამო ნაკვეთების უმართებულოდ, უკანონოდ გაფართოებისა, ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ადგილებზე უდარდელად ეკიდებოდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებს, არა თუ არ ახდენდნენ ამ დარღვევათა აღკვეთას, არამედ ზოგჯერ აქებებდნენ კიდეც მათ. მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევამ გამოააშკარავა საკოლმეურნეო წესდების ყველა დამახინჯებანი და დაგვანახვა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ დამახინჯებებს.

ასეთი დამახინჯებანი პარტიის პოლიტიკისა საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგში იმის შედეგია, რომ ზოგიერთმა ხელმძღვანელმა დაივიწყა ამხანაგ სტალინის მითითებანი საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელში მთავარია, გადამწყვეტია საზოგადოებრივი მეურნეობა, ხოლო კოლმეურნეთა პირადი მეურნეობა დამხმარეა. განმტკიცებდე სასოფლო - სამეურნეო არტელს — ნიშნავს ყოველნაირად აფართოებდე კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობას, ამაღლებდე მის როლს, ხვედრითს წონას კოლმეურნეობის საქმიროებათა დაკმაყოფილებაში და მის შემოსავალში, იმ ანგარიშით, რომ საკოლმეურნეო კომლთა პირადი მეურნეობა სულ უფროდაუფრო ვიწრო-დამხმარე ხასიათს ატარებდეს, ხოლო საერთოსაკოლმეურნეო — იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს.

პარტიული აქტივის კრებებმა ცხადჰყვეს კომუნისტების გადაწყვეტილება — ბოლო მოუღონ ოპორტუნისტულ პრაქტიკას ადგილებზე და, პარტიის ც. კ-ის მოთხოვნების შესაბამისად, გამოასწორონ ნაკლოვანებანი. თვითდინება საკოლმეურნეო მშენებლობაში შეუწყნარებელია, კოლმეურნეობებს პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობა ესაჭიროებათ — აი ოპორტუნია ყველა გამოსვლის ძირითადი აზრი.

საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის მაგალითზე პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასწავლის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს იმის უნარს, რომ არა მარტო დაინახონ ესა თუ ის მოვლენები, არამედ თავიდანვე აიცილონ იმ ტენდენციების განვითარება, რომლებსაც შეუძლიათ ავნონ კოლმეურნეობების საფუძველს — მათს საზოგადოებრივ მეურნეობას. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაივებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ წარმოადგენს კოლმეურნეობებისადმი კონკრეტული ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მაგალითს, მარქსისტულ - ლენინური წინასწარგანჭვრეტის მაგალითს, ვინაიდან იგი — ეს დადგენილება — თავიდან გვაცილებს კოლმეურნეობებში ბურჟუაზიული ტენდენციების განვითარებას და უადგილებს სოციალისტურ მიწათმოქმედებას გზას ახალი გამარჯვებებისაკენ.

ჩვენი პირველი რიგის ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ ფართოდ განვუმარტოთ კოლმეურნეებსა და კოლმეურნე-ქალებს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა მთელი მნიშვნელობა. ამ ღონისძიებებს ერთსულოვანი მხარდაჭერით შეხვდება და უკვე ხვდება კოლმეურნეთა უდიდესი უმრავლესობა.

მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრებაზე მოჰყავდათ იმის მაგალითები, თუ რა უდიდეს ზეგავლენას ახდენს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე. ივოლოკოლამსკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია დერევნიაში“ სამუშაოზე ყოველდღიურად 40-45 კაცი გამოდიოდა, ამჟამად კი, დადგენილების განმარტების შემდეგ, 75-80 კაცი გამოდის. კონსტანტინოვოს რაიონის კოლმეურნეობა „მაიაკში“ სამუშაოზე გამოდიოდა 30-40 კაცი, ამჟამად კი—80 და ა. შ.

საკოლმეურნეო წყობილების ძალა და სიმტკიცე შეურყეველია „... კოლმეურნეობანი საბოლოოდ განმტკიცდნენ და გამაგრდნენ, ხოლო მეურნეობის სოციალისტური სისტემა ამჟამად ჩვენი მიწათმოქმედების ეროვნულ ფორმას წარმოადგენს“ (სტალინი). კოლმეურნეობათა განმტკიცება შეგვიძლია დავინახოთ იმ გმირულ საქმეებში, რომლებითაც თავი ისახელეს საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებმა და სტახანოველმა-ქალებმა, შეგვიძლია დავინახოთ კოლმეურნეობების სასაქონლო პროდუქციის სწრაფ ზრდაში, საკოლმეურნეო შემოსავლის გადიდებაში, საკოლმეურნეო მინდვრებზე მაღალი ორგანიზაციით ადამიანთა თავდადებულ შრომაში.

საკოლმეურნეო წყობილების წარმატებანი და გამაოგვებანი შეგვიძლია დავინახოთ სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაში. 1939 წლის საგაზაფხულო თესვა ამის საყოველთაო მაგალითია. მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების შედეგად, სტალინური რვა მილიარდი ფუთი მარცვლეულისათვის კოლმეურნეთა თავგამოდებული ბრძოლის შედეგად მოსავალს კარგი პირი უჭირავს.

ბრძოლა მომდინარე წლის მაღალი მოსავლისათვის ჯერ კიდევ ბევრ ენერგიასა და ძალღონეს მოითხოვს. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილება მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ აყენებს პარტიული, კომკავშირული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე ამოცანას— ისე მოემზადონ მოსავლის აღებისათვის, რომ მიიღონ უკლებლივ ყველა კულტურის მაღალი მოსავალი და აუცილებლად შეინარჩუნონ იგი. ყველა კულტურისა! საჭიროა, მაშასადამე, ზრუნვა თვითეულ თავთავზე, მცენარის მოვლის ყველა დეტალზე. ყოველნაირად უნდა დავაჩქაროთ კომბაინების რემონტის დამთავრება. მოსავლის აღების კომბაინიზაციის პროცენტი სსრ კავშირში წელს 50-მდე აღწევს, და მოსავლის აღების სამუშაოთა წარმატების რაიონების უმრავლესობაში სწყვეტენ კომბაინები, სწყვეტენ მცოდნე, კარგად მომზადებული მექანიზატორული კადრები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ალაფრთოვანებენ ყველა პოლშევიკს, პარტიულსა და არაპარტიულს, კვლავ და კვლავ მოგვაგონებენ ჩვენ კომუნისტების უდიდეს პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის. უნდა ვხედავდეთ კოლმეურნეობების არა მარტო დღევანდელ დღეს, არამედ ნათლად წარმოგვქონდეს მათი განვითარების პერსპექტივა, ჩავწვდებოდეთ საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა მოვლენას. „საჭიროა ვიყოთ კოლმეურნეობების ნამდვილი ხელმძღვანელნი და თანაშემწენი, და არა მეთვალყურენი. კი არ გავიყინოთ მიღწეულ პოზიციებზე, არამედ უფრო წინ წავწიოთ კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმე, გავაივყვანოთ ისინი საზოგადოებრივი მეურნეობის უფრო მაღალ საფეხურზე“ (ანდრეევი).

ეჭვს გარეშეა, რომ 1939 წელი აღინიშნება სოციალისტური მიწათმოქმედების დიდი წარმატებებით, კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებით. საკოლმეურნეო მინდვრებზე, განსაკუთრებით სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით, არაჩვეულებრივი ალმავლობა იგრძნობა. გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის. ჩვენზე, კომუნისტებზე, დამოკიდებულია გამარჯვება. მაშ მოვამზადოთ ეს გამარჯვება, შეჯიბრების სათავეში დგომით, ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებით!

„პრავდის“ მოწვინავე, 10/VI.

საქ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ა. ა. ჟდანოვი

7-8 ივნისს ურიცკის სასახლეში შესდგა ქალაქის პარტაქტივის კრება ოლქის პარტაქტივთან ერთად. კრებას დაესწრო 1.800-მდე კაცი— პარტიის ქალაქისა და ოლქის საკრუგო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტთა მდივნები, საოკრუგო, საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთა თავმჯდომარეები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროპაგანდისტები, აგიტატორები, სამეწარმეო-ქიმიური და დამამზადებელი აპარატის მუშაკები, სამეურნეო მუშაკები, პროფმუშაკები, სამხედრო მუშაკები და სხვები.

ერთხმად არჩეულ იქნა პრეზიდიუმი საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის ბიუროების წევრთა შემადგენლობით. კრებამ დაამტკიცა დღის წესრიგი: „საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების შესახებ“.

კრების თავმჯდომარე — საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კუზნეცოვი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ამხანაგ ჟდანოვს. ამხ. ჟდანოვის გამოჩენას ტრიბუნაზე აქტივი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

○

თავის მოხსენებაში *) ამხანაგმა ჟდანოვმა გააშუქა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მუშაობის შედეგები და გადაწყვეტილებანი.

ამხანაგი ჟდანოვი დაწვრილებით შეეხო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაივებისაგან დაცვის ღონისძიებათა საკითხს და ცხადჰყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ისტორიული მნიშვნელობა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაივებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ ეხება არა მარტო საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითად საკითხებს, არამედ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შემდგომი სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის. ამ დადგენილებაში ლაპარაკია პარტიის პოლიტიკის სერიოზულ დამახინჯებათა ლიკვიდაციაზე საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგში, საკოლმეურნეო წყობილების წმინდათა-წმინდაზე — კოლმეურნეობის საზოგადოებრივ საკუთრებაზე. ლაპარაკია საკოლმეურნეო წყობილებისა და კოლმეურნეთა მრავალმილიონიანი მასების კეთილდღეობის სიმტკიცის საფუძვლებზე, კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარების გზებზე.

ამხანაგი ჟდანოვი დაწვრილებით ახასიათებს საკითხის ფაქტურ მხარეს მრავალი მაგალითით ცხადჰყოფს რა დარღვევას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-2 მუხლისას, რომელიც შეეხება საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწის ნორმებს. ამ ნორმებს უკანონოდ აფართოებდნენ კოლმეურნის პირადი მეურნეობის სასარგებლოდ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაივებისა და დატაცების გზით.

ამხანაგი ჟდანოვი მოაგონებს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი ფორმა — სასოფლო - სამეურნეო არტელი ემყარება კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესების სწორად შეხამებას კოლმეურნის პირად ინტერესებთან. საზოგადოებრივი მეურნეობა წარმოადგენს კოლმეურნეობის საფუძველს, კოლმეურნეთა კეთილდღეობის საფუძველს. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება სწორედ ამ საფუძველზე—საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველდღიური ზრდისა და განმტკიცების საფუძველზე ხდება. კოლმეურნის პირად მეურნეობას (საკარმიდამო ნაკვეთი, საკუთარი პირუტყვი, ფრინველი) დამხმარე ხასიათი აქვს და მან წლითიწლობით, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდისა და განმტკიცების მიხედვით, თავისი მნიშვნელობა თანდათან უნდა დაჰკარგოს, რადგანაც კოლმეურნე თავისი შემოსავლის უდიდეს ნაწილს სულ უფროდაუფრო მეტად ღებულობს საზოგადოებრივი მეურნეობისაგან. ამხანაგი სტალინი გვასწავლის კოლმეურნეთა პირადი, საყოფაცხოვრებო ინტერესების ასეთ სწორ შეხამებას მათს საზოგადოებრივ ინტერესებთან, პირადი, საყოფაცხოვრებო ინტერესების სწორად შეგუებას საზოგადოებრივი ინტერესებისადმი და ამით კოლმეურნეთა აღზრდას კოლექტივიზმის სულისკვეთებით. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ასეთ შეხამებაში მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო არტელის ძალა, და ეს გამოხატულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების კანონია. ამავე დროს, წესდების ერთერთი უმნიშვნელოვანესი მუხლი, მე-2 მუხლი, რომელშიც მოყვანილია წესი მიწის სარგებლობისა და კოლმეურნეობის ძირითადი, საზოგადოებრივი მეურნეობის და კოლმეურნის დამხმარე პირადი მეურნეობის თანაფარდობისა, პრაქტიკულად დარღვეული აღმოჩნდა სხვადასხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, მათ შორის ლენინგრადის ოლქის, ბევრ კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მიწებს, რომლებიც წმინდათა-წმინდა, ხელუხლებელ სოციალისტურ საკუთრებას წარმოადგენენ, ბევრ კოლმეურნეობაში ანაივებენ და იტაცებენ კოლმეურნეობის პირად მეურნეობათა სასარგებლოდ.

ამხანაგმა ჟდანოვმა მოიყვანა იმის მრავალი მაგალითი, თუ სხვადასხვა გზით როგორ არის ხოლმე გადიდებული მრავალ შემთხვევაში კოლმეურნეთა საკარმიდამო მეურნეობანი საწესდებო ნორმებთან შედარებით. ფართოდ გავრცელდა საკარმიდამო ნაკვეთების ყოველგვარი უკანონო მიზომვა, ან ოჯახების ყალბი გაყოფის წესით, ან კოლმეურნეთათვის კოლმეურნეობის საყანე მიწების ხარჯზე ნაკვეთების პირდაპირი მიცემის წესით, ან ნაკვეთების მიჩენისას აშკარა მოტყუების წესით და სხვ. ამ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვანახვა, რომ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში საკარმიდამო მიწის ნორმები გაცილებით აღემატება უმაღლეს საწესდებო ნორმებს. არც თუ იშვიათად „საკარმიდამო“ ნაკვეთებს მიუპრიან ხოლმე კარმიდამოდან დიდ მანძილზე, პირდაპირ საკოლმეურნეო მინდორში. საკარმიდამო ნაკვეთს ისე უყურებენ, როგორც კერძო საკუთრებას: „ჩემია და რაც მინდა, იმას ვაკეთებო“. ამ საფუძველზე წარმოიშვება ხოლმე საკარმიდამო ნაკვეთების იჯარით გაცემისა და თვით გაყიდვის ფაქტები: კაცმა კავშირი გასწყვიტა კოლმეურნეობასთან, არაფერი საერთო მასთან არა აქვს, კარმიდამო კი იჯარით გასცა, ანდა ავარაკად მიჰყიდა ნაცნობს ან ნათესავს, ან თვითონ სარგებლობს როგორც ავარაკით და სხვ. საკარმიდამო ნაკვეთი წამგლეჯი და სპეკულანტური ელემენტების ხელში პირადი გამორჩენისა და სპეკულაციის წყაროდ იქცევა.

ზუსტი მიჯნები კოლმეურნეობათა საყანე მიწებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს შორის ძალიან ხშირად არ არსებობს, აღრიცხვა, ზუსტი აზომვა და რეგიზია არ არის. მიწის ბალანსები ძალიან ხშირად ცალიერ ქაღალდს წარმოადგენენ, ვინაიდან ისინი მალავენ საკოლმეურნეო მიწების დატაცებას. კოლმეურნეობათა მიწის მეურნეობაში არსებული არევდარეულა და უწესრიგობა ხელს უწყობს წამგლეჯ და სპეკულანტურ ელემენტებს, მუქთახორებსა და მუქთამქამლებს, რომლებიც კოლმეურნეობას კისერზე ასხდებან.

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებისა და კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის გაბერვის ასეთი ფაქტები იმას იწვევს, რომ ხშირად კოლმეურნის დამხმარე საკარმიდამო მეურნეობა იქცევა ძირითად მეურნეობად, მთლიანად კოლმეურნეობის ინტერესთა საზიანოდ, რაც მოსდევს კოლმეურნეობის დეზორგანიზაცია, შრომის დისციპლინის დაცემა, როდესაც კოლმეურნის პირად ინტერესებს კოლმეურნეობის ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებენ. ასეთი კოლმეურნე, სარგებლობს რა კოლმეურნეობის ყველა საკეთით, კოლმეურნეობას აძლევს 30-40 შრომადღეს, არსებითად კი იგი მუქთახორა და მუქთამჭამელია, რომელიც კოლმეურნეობას იყენებს პირადი მეურნეობის გაბერვის ინტერესებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ცრუ-კოლმეურნე კისერზე აზის კოლმეურნეობას, კისერზე აზის პატიოსან კოლმეურნეებს.

ამხანაგი ჟდანოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკოლმეურნეო წყობილების ძალა და სიმტკიცე იმას ემყარება, რომ კოლმეურნეთა უდიდესი უმრავლესობა მუშაობს პატიოსნად, წესიერად, კეთილსინდისიერად, ასრულებს თავის ვალსა და მოვალეობას კოლმეურნეობათა წინაშე და ამ საფუძველზე წლითიწლობით ამაღლებს თავის კეთილდღეობას. მაგრამ იქ, სადაც, რაიონებისა და ოლქების ხელმძღვანელი ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მხრივ წაყრუებისა და ოპორტუნისტული გულკეთილობის შედეგად, წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი — დარღვეულია, სადაც საკოლმეურნეო მიწებს ანაივებენ, ხოლო კოლმეურნის დამხმარე მეურნეობას ძირითად მეურნეობად აქცევენ, — იქ იბადება კოლმეურნეობის ძირის გამოთხრის საშიშროება.

ამხანაგი ჟდანოვი მოაგონებს, რომ კოლექტივიზმის სულისკვეთებით კოლმეურნეთა აღზრდის ამოცანა ჯერ კიდევ სავსებით არ არის გადაწყვეტილი, რომ საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ყოველდღიური აღზრდის ამოცანა ხაზგასმით იყო აღნიშნული პარტიის XVIII ყრილობაზე და ეს ამოცანა პარტიის ერთერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს უახლოესი პერიოდისათვის.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევაში, კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის გაბერვაში მარხია მიზეზი მუშახელის ხელოვნური ნაკლებობისა, რასაც ხანდახან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები უჩივიან. ნამდვილად კი, როდესაც სამი მეოთხედი მიწა ტრაქტორებით მუშავდება, ხოლო ნახევარ მოსავალს კომბაინებით იღებენ, კოლმეურნეობებში მოიპოვება მუშახელის დიდი რეზერვები, რომლებიც არ შეიძლება სწორად გამოვლინებულ და გამოყენებულ იქნან იმის გამო, რომ კოლმეურნეთა ნაწილი თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობას. თუ ჩვენ ავმაღლებთ შრომის დისციპლინას და კოლმეურნეობებში გასაჭანს არ მივცემთ ცუღლუტებს, მუქთახორებსა და მუქთამჭამელებს, მუშახელი არა მარტო თვით კოლმეურნეობებს ეყოფა, არამედ მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება განთავისუფლებულ იქნას მრეწველობისათვის და სსრ კავშირის იმ უხვმწიან რაიონებში დასასახლებლად, რომლებიც მჭიდროდ არ არის დასახლებული.

ამხანაგი ჟდანოვი აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უაღრესად უხეში დამახინჯებებისათვის ეკისრებათ რაიონებისა და ოლქების პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს. „იმის ნაცვლად, რომ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის სადარაჯოზე იდგნენ და დაიცვან საკოლმეურნეო წყობილების ძლიერებისა და სიმტკიცის ძირითადი წყარო, — კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწა—კერძო მესაკუთრული ელემენტების ხელყოფისაგან, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა საკოლმეურნეო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრა თვითდინებას მიანდეს და ხშირად მორჩილად მიჰყვებოდნენ რა კოლმეურნეთა რიგებში მყოფ წამგლეჯურ ელემენტებს, თვითონ კისრულობდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ინიციატივას“. (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებიდან).

ამხანაგ სტალინს და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ უსწავლებიათ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელებისთვის, რომ საკოლმეურნეო წყობილება ადიდებს მათ ზრუნვას სოფლის მეურნეობისათვის, ამაღლებს პასუხისმგებლობას კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობისათვის. ამხანაგ სტალინს არაერთი გაფრთხილება მოუცია, რომ საშიშია თვითდინება საკოლმეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობის საქმეში. ამხანაგ სტალინის ეს მითითება კანონია პარტიულ ხელმძღვანელთათვის. პრაქტიკაში კი მივიღეთ, რომ „პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურად მუშაობას ეწეოდნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით აღსაზრდელად, თავიანთი ოპორტუნისტული პრაქტიკით თვითონ უწყობენ ხელს წესდების დარღვევას და დანაშაულებრივი შემწყნარებლობით ეკიდებიან კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წყობილებისადმი მტრული კერძო-მესაკუთრული, ბურჟუაზიული ტენდენციების შეპარვას, რომლებიც შეაქვთ განადგურებული კულაკობის ნაშთებს“. (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებიდან).

ამხანაგ სტალინს და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ უსწავლებიათ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელებისთვის, რომ საკოლმეურნეო წყობილება ადიდებს მათ ზრუნვას სოფლის მეურნეობისათვის, ამაღლებს პასუხისმგებლობას კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობისათვის. ამხანაგ სტალინს არაერთი გაფრთხილება მოუცია, რომ საშიშია თვითდინება საკოლმეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობის საქმეში. ამხანაგ სტალინის ეს მითითება კანონია პარტიულ ხელმძღვანელთათვის. პრაქტიკაში კი მივიღეთ, რომ „პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურად მუშაობას ეწეოდნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით აღსაზრდელად, თავიანთი ოპორტუნისტული პრაქტიკით თვითონ უწყობენ ხელს წესდების დარღვევას და დანაშაულებრივი შემწყნარებლობით ეკიდებიან კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წყობილებისადმი მტრული კერძო-მესაკუთრული, ბურჟუაზიული ტენდენციების შეპარვას, რომლებიც შეაქვთ განადგურებული კულაკობის ნაშთებს“. (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებიდან).

ამხანაგ სტალინის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგში სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებთან ბრძოლის საკითხი დაისვა ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეიმუშავა ღონისძიებანი კოლმეურნეობებში საზოგადო-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

*) ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების ანგარიში მოცემულია ცოცხალი ჩანაწერის მიხედვით.

კიევის ქალაქის პარტაქტივის კრება

8 ივნისს კიევში ორი დღის მუშაობის შემდეგ დამთავრდა კიევის ქალაქის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 1.100-ზე მეტმა კაცმა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც აქტივი გულთბილად შეხვდა.

მოსკოვის პარტიული და პროფკავშირული აქტივის კრება

9 ივნისს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა მოსკოვის პარტიული და პროფკავშირული აქტივის კრება, რომელიც მოწვეული საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა. კრებას 1600-ზე მეტი კაცი დაესწრო.

პროფკავშირული ორგანოების არჩევნების მიმდინარეობის შესახებ დიდი მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. ნ. მ. შვერნიკმა.

— პროფესიული ორგანოების ანგარიში და არჩევნები, — ამბობს ამხ. შვერნიკი, — უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. მათ უნდა უზრუნველჰყონ მასების კიდევ უფრო ფართო მობილიზაცია იმ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც დასმულია საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

საწარმოებსა და დაწესებულებებში ფართოდ გაიშალა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. პირველივე წინასწარი შედეგები გვიჩვენებენ, რომ ანგარიში და არჩევნები ყველგან მასების მაღალი პოლიტიკური აქტივობით და დიდი საწარმოო აღმავლობით ტარდება.

ამხ. შვერნიკი ააშკარავებს ნაკლოვანებებს, რომლებიც დაშვებული აქვთ ცალკეულ პროფორგანიზაციებს. მთელ რიგ საწარმოებში ძირეული პროფორგანიზაციების ხელმძღვანელები საქმოსნურად ადგენდნენ თავიანთ ანგარიშს, ნაცვლად ჩერდებოდნენ პროფკავშირული მუშაობის ძირითად საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობენ საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. არის შემთხვევები მავნე აჩქარებისა ანგარიშისა და არჩევნების ჩატარების დროს, რაც პროფკავშირული დემოკრატიის დარღვევას იწვევს.

დაწყებული საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, — ამბობს დასას

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრება

დასასრული

ებრივი მიწების განიავებისაგან დაცვისათვის და კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის — ღონისძიებანი, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ადგილობრივებ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს ავიწყდებათ, რომ ხელმძღვანელობისათვის საჭიროა წინასწარ განჭვრეტა. სინამდვილეში კი ადგილობრივი ხელმძღვანელები ხშირად კუდში მისჩაჩალებენ მოვლენებს, ვერა ხედავენ, თუ ზოგჯერ საითკენ მიემართება განვითარება, არ ესმით, თუ რა შეუძლია გამოიწვიოს საკოლმეურნეო მიწების განიავებამ და პირადი დამხმარე მეურნეობის გაბერვამ, თავის დროზე რომ არ მივიღოთ ზომები ამის წინააღმდეგ. ასეთი მაჩაჩალობა მენშევიზმის ერთერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. ამხანაგი სტალინი მოითხოვს ხელმძღვანელებისაგან, რომ მათ შეეძლოთ წინასწარ განჭვრეტა, ამისათვის კი მათ, ხელმძღვანელებმა, უნდა იცოდნენ ფაქტების, თავიანთი მუშაობის, განვლილი გზის მარქსისტული ანალიზი.

თავის ძლევამოსილ განვითარებაში საკოლმეურნეო წყობილება ეყრდნობა გაზრდილ და განმტკიცებულ საკოლმეურნეო კადრებს. ასეთი კადრების შექმნა ჩვენ შევძელით. ეს კადრები მზად არიან იბრძოლონ საზოგადოებრივი მეურნეობისათვის და თავიანთი კოლმეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ლაგამი ამოვდოთ წყმაწლეკ და სპეკულანტურ ელემენტებს კოლმეურნეობებში. ამაში ჩვენ უსათუოდ მხარდაჭერას ვპოვებთ პატიოსან და კეთილსინდისიერ კოლმეურნეთა მთელი მასის მხრივ, რომლებიც დიდ უმრავლესობას შეადგენენ კოლმეურნეობებში.

ამხანაგმა ჟდანოვმა ანალიზი გაუკეთა საკოლმეურნეო შრომისა და შრომადღეების მიხედვით კოლმეურნეთა სხვადასხვა ჯგუფების ზრდის დინამიკის ციფრობრივ მონაცემებს და ამ საფუძველზე ცხადჰყო, რომ კოლმეურნეთა ჯგუფები, რომლებიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას, წლითი-წლობით მცირდებიან, ხოლო პატიოსნად და კარგად მომუშავე კოლმეურნეთა ჯგუფები იზრდებიან. ჩვენ საქმე გვაქვს აბსოლუტურად ჯანსაღ ტენდენციასთან, მტკიცე კანონზომიერებასთან. კოლმეურნეთა უდიდესი მასა პატიოსანი, კეთილსინდისიერი კოლმეურნეები არიან. კოლმეურნეთა ეს მასები აღტაცებით შეხვდებიან ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილებას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისაკენ, ე. ი. მთელი ხალხის ინტერესების დაცვისაკენ, უსათუოდ მხურვალედ დაუჭერს მხარს დიდი უმრავლესობა კოლმეურნეებისა, რომლებიც გასაჭანს არ მისცემენ ზარმაცებსა და მუქთახორებს. სასოფლო - სამეურნეო არტელის, როგორც დღევანდელი საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი ფორმის, განვითარებასა და აყვავებაში არის საფუძველი ჩვენი სამშობლოს მშრომელთა უდიდესი მასის კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ზრდისა. სწორედ სასოფლო - სამეურნეო არტელის განმტკიცებისაკენ არის მიმართული ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

ამხანაგმა ჟდანოვმა დაწვრილებით გააშუქა ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მიწების განიავებისა და დატაცების ლიკვიდაციას, საკარმიდამო ნაკვეთების წესდებით გათვალისწინებულ ნორმებთან შეფარდებას, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების ხელუხლებლობაზე უმკაცრესი კონტროლის დაწესებასა და კოლმეურნეობებში წამგლეჯი და სპეკულანტური ელემენტების გადაჭრით ალაგმას.

ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ იგი განსაკუთრებული ძლიერებით აღნიშნავს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის მნიშვნელობას, წამგლეჯი და სპეკულანტური ელემენტების ალაგმვის მნიშვნელობას საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების მთელი საქმისათვის. ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება გადამწყვეტ და პროგრესიულ როლს შეასრულებს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის ამაღლების საქმეში. უკვე ახლა, როცა ჩვენ ჯერ მხოლოდ დავიწყეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება, მნიშვნელოვნად გადიდდა იმ კოლმეურნეთა სამუშაოზე გამოსვლა, რომლებიც წინათ თავს არიდებდნენ მუშაობას, ძირს უთხრიდნენ საკოლმეურნეო დისციპლინას. კოლმეურნეობათა ბევრი თავმჯდომარე დაიბნა კიდეცაც და მოუმზადებელი აღმოჩნდა მუშა-ხელის „მოულოდნელი“ მოზღვავების წინაშე.

შემდეგ ამხანაგი ჟდანოვი ჩერდება სსრ კავშირის მცირემიწიანი რაიონებიდან უხვმიწიან რაიონებში კოლმეურნეთა დასახლების მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამხანაგი ჟდანოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეთა ხუტორული კომლების ერთ ადგილას დასახლებას საერთო-საკოლმეურნეო დაბაში. ლენინგრადის ოლქში ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე, 1939 წელს.

შემდეგ ამხანაგმა ჟდანოვმა გააშუქა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი 1939 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათათვის მზადების საკითხის შესახებ.

მიუხედავად შემოდგომისა და ზამთრის ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა და არასავსებით ხელსაყრელი გაზაფხულისა, მიმდინარე წელს თესვა, კოლმეურნეობებისა და მტს-ების საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცების მეოხებით, უკეთესად ჩატარდა, ვიდრე წარსულში. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკურად, ორგანიზებულად უზრუნველვყოთ ნათესების სწორი მოვლა და მოვემზადოთ მოსავლის აღებისა და დამზადებებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გასული წლის შეცდომების — მოსავლის აღების დაგვიანების, მოსავლიანობის არასწორი განსაზღვრის, პურის ჩაბარების დაგვიანების, ადგილობრივი ტრანსპორტის ცუდად გამოყენებისა და სხვათა თავიდან აცილების საჭიროებას. მიმდინარე წელს მოსავლიანობის განსაზღვრა დაკისრებული აქვთ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს იმ ანგარიშით, რომ თავიდან აცილებულ იქნას კოლმეურნეობებისა და მტს-ების მიერ მოსავლიანობის განსაზღვრის საქმეში გასული წელს დაშვებული უხეში შეცდომები, როდესაც მოსავლის რაოდენობას ხელოვნურად აჭარბებდნენ დაკლებულად, ხოლო აქედან დაკლებულად აჩვენებდნენ ნატურანაზღაურების რაოდენობასაც.

ამხანაგი ჟდანოვი ალნიშნავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა გატარებულ იქნას ლენინგრადის ოლქში, რათა ჩვენს ოლქს შეეძლოს სახელოვნად დასძლიოს მოსავლის აღებისა და დამზადებათა ამოცანებიო.

ამხანაგი ჟდანოვი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლენინგრადის ოლქისათვის იმ ამოცანებს, რომლებიც აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში და რომლებიც დაკავშირებულია მოსავლის უზრუნველყოფასთან, სელის აღებასა და დამზადებასთან, აგრეთვე ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლის აღებასა და დამზადებასთან.

თავის მოხსენებაში ამხანაგმა ჟდანოვმა გააშუქა აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან პარტიული კონტროლის კომისიის ჩამოყალიბებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების შესახებ.

თავისი მოხსენების დამთავრებისას ამხანაგი ჟდანოვი აცხადებს:

— ეჭვი არ არის, რომ ლენინგრადის აქტივი და ლენინგრადელი ბოლშევიკები სკკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იქნებიან.

ამხანაგ ჟდანოვის ამ უკანასკნელ სიტყვებს მქუხარე, ხანგრძლივი ტაში ჰფარავს.

○

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. პირველი გამოვიდა სკკ. კ. პ. (ბ) ფსკოვის საოკრუგო კომიტეტის მდივანი ამხ. იგნატიევი.

— ეჭვი არ არის,—ამბობს იგი,— რომ ფსკოვშრინის კოლმეურნეთა დიდი უმეტესობა პატიოსნად და თავგამოდებით მუშაობს საზოგადო მეურნეობის განმტკიცებისათვის. მაგრამ სასოფლო - სამეურნეო არტელების წესდების ის უხეში დამახინჯებები, რომელთა შესახებაც ლაპარაკია სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებაში, ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული. ფსკოვის ოკრუგის 11.170 კოლმეურნეო მეურნეობას დაწესებულ ნორმაზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთები ჰქონდა. ცალკეულ კოლმეურნეებს ეს ნაკვეთები დაახლოებით 1,2 ჰექტარამდე მოეპოვებოდათ. კოლმეურნეობა „ნოვოე გრებნევოში“ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავის ნათესავს — ერთპიროვნულ მეურნეს 3 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა მისცა.

ამხ. იგნატიევი აღნიშნავს, რომ ფსკოვშრინის შრომისუნარიან კოლმეურნეთა 17 პროცენტს შეადგენენ ისეთი კოლმეურნეები, რომელთაგან თვითეულს მხოლოდ 50-მდე შრომადღე აქვს გამომუშავებული. ეს ადამიანები წარმოადგენენ მუქთახორებსა და მუქთამჭამელებს, რომელთათვისაც კოლმეურნის სახელწოდება მხოლოდ შირმაა. საგულისხმოა, რომ შრომის დისციპლინის ყველაზე მეტ დარღვევას, საკოლმეურნეო საკუთრების დატაცებასა და თესვის დაგვიანებას ჩვენ ვამჩნევთ იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც ხუტორები აქვთ. — ოკრუგის ყველა კოლმეურნეობის ნახევარზე მეტს ჯერ კიდევ ამჟამადაც მოეპოვება ნაწილობრივ ხუტორული მეურნეობა და 110 სასოფლო - სამეურნეო არტელი წმინდა ხუტორულ კოლმეურნეობებს წარმოადგენს.

ამხ. გოლუბევი (ლენინგრადის ვოლოდარსკის რაიონი) მოგვითხრობს იმ დახმარების შესახებ, რომელსაც ვოლოდარსკის რაიონის ჭარხნებისა და ფაბრიკების პარტიული ორგანიზაციები ლენინგრადის ოლქის მგინსკის რაიონს უწევენ კოლმეურნეთათვის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებათა განმარტების საქმეში. კოლმეურნეთა ფართო მასები მხურვალედ უჭერენ მხარს ამ დადგენილებებს. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი უკვე ახდენენ გავლენას კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე. ასე, მაგალითად, საბჭოების VI ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში იმ საკოლმეურნეო კრების მეორე დღეს, რომელზედაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას იხილავდნენ, სამუშაოდ გამოვიდა 16 კოლმეურნე, რომელთაც ჯერ კიდევ 1939 წელს არცერთი შრომადღე არ ჰქონიათ.

ამხ. გოლუბევი აღნიშნავს, რომ ბევრ კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა ცოლები, რომლებიც სასოფლო - სამეურნეო არტელის თანასწორუფლებიანი წევრები არიან, ფაქტიურად კოლმეურნეობაში არ მუშაობენ, არამედ მთელ თავის ძალას საკარმიდამო ნაკვეთის მეურნეობას ახმარებენ. საკოლმეურნეო წარმოებაში კოლმეურნეთა ცოლების ჩაბმა საშუალებას მოგვცემს მოვსპოთ მუშა-ხელის ხელოვნური ნაკლებობა კოლმეურნეობებში.

ამხ. სოფრონოვი (საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილება) აღნიშნა, რომ ლენინგრადის ოლქის 29.370 ხუტორიდან კოლმეურნეობებს ეკუთვნის 23.000 ხუტორი. მას მოჰყავს ლენინგრადის კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის საშუალო ციფრები.

— ეს ციფრები, — სამართლიანად აღნიშნავს ამხ. სოფრონოვი,—შემოწმებას საჭიროებს. საკარმიდამო ნაკვეთების აზომვას აწარმოებდნენ თვითონ კოლმეურნეები, რომელიმე ორგანიზაციის მიერ ყოველგვარი კონტროლის გაწევის გარეშე. ახლა რომ საკარმიდამო ნაკვეთების სწორი აზომვა დავიწყოთ, ბევრ გარდა-მეტ მიწას ვიპოვნით.

ამასთან ერთად ამხ. სოფრონოვს მოჰყავს საინტერესო ცნობები, რომლებიც მოწმობს, რომ კოლმეურნეთა ძირითადი მასა ისწრაფვის პატიოსნად და დამკვრელურად იმუშაოს საერთო საკოლმეურნეო კეთილდღეობის განმტკიცებისათვის. თუ 1937 წ. ლენინგრადის ოლქში 96.000 კოლმეურნე იყო, რომლებსაც არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ 1938 წ. ეს რაოდენობა 39.000-დე შემცირდა. ამავე დროს 22-დან 2%-მდე გაიზარდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც 300-ზე მეტი შრომადღე აქვთ გამომუშავებული.

პარტიის საოლქო კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების გამგის ამხ. სუეტინს მოჰყავს იმის საყურადღებო მაგალითები, თუ როგორ არიან ხოლმე ცხოვრებას მოწყვეტილი საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების მუშაკები. საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებამ გულდასმით შეისწავლა ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციის მიხედვით, ხუტორელთა და კოლმეურნეთა საძოსახლო ადგილებს აუცილებლად სწორი რელიეფი უნდა ჰქონდეს, ჭაობებს დაშორებული იყოს სულ მცირე სამი კილომეტრით, მდებარეობდეს მდინარის ახლოს და სხვ. კირიშის რაიონის ხელმძღვანელებმა თვითეული საკოლმეურნეო ხუტორის გადასატანად მოითხოვეს მიეცათ მათთვის 27 კუბური მეტრი მორი, 22 კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყე და 1.500 მანეთი კრედიტი.

ხუტორულ მეურნეობათა ახალდასახლების ასეთმა „მანილოვურმა“ გეგმამ სიცილი გამოიწვია კრებაზე.

საკ. კ. პ. (ბ) კირიშის რაიკომის მდივანმა ამხ. რუდაკოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა პარტიული კონტროლის კომისიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მან პარტიის კირიშის რაიონული ორგანიზაციის პრაქტიკიდან მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ პარტიულ გადაწყვეტილებათა შემოწმება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ამხ. პოლიაკოვი (სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ლენინგრადის ოლქში) მკვეთრად აკრიტიკებს დამზადებათა სახალხო კომისარიატის მუშაობას, რომლის ინსტრუქციები დამზადებათა შესახებ არასოდეს არ ანსხვავებს ერთმანეთისაგან ცუღლუტებსა და პატიოსან კოლმეურნეებს.

„ამათში გამოვიდნენ აგრეთვე ვოლოსოვის რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ელხოვი, საკ. კ. პ. (ბ) ჩერასნოგვარდეისკის რაიკომის მდივანი ამხ. ვერბიცკი, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის რაიკომის მდივანი ამხ. ბადაევი, საკ. კ. პ. (ბ) ოსტროვის რაიკომის მდივანი ამხ. ბორისოვი, კინგისეპის საოკრუგო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბელოკუროვი, ლენინგრადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სოლოვიოვი, ჭარხნისა „კრასნოე გვოზდილშჩიკის“ პარტკომის მდივანი ამხ. კასიროვი, სატანკო - ტექნიკური სასწავლებლის კომისარი ამხ. სიმეონოვი.

კრების დასასრულს საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. ჟდანოვი, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

